ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს

შპს სანო 2015-ის (ს/კ 405137766)
დირექტორის ზაზა სანიკიძის

ტელ: 555 15 33 11

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

გაცნობებთ რომ 2020 წლის 7 მაისის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების და 2020 წლის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე ვიყიდე ნაკვეთი საკ. კოდი: 01.14.03.042.416 მასზე გაცემული მშენებლობის პროექტით, მშენებლობის ნებართვით,(რაც ხელშეკრულებისამებრ მოიპოვა შპს „სანო 2015“-მა) პირობებით და ყველა მასთან დაკავშირებული ყველა უფლებით. მიწის ნაკვეთის საფასური განისაზღვრა 1460 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის და ოთხი ერთეული ავტოფარეხის გამყიდველთათვის გადაცემით, რაც უნდა განხორციელებულიყო არაუგვიანეს 2023 წლის 7 ოქტომრისა, აქედან გამომდინარე მიწის ნაკვეთი იყო ვალდებულებით დატვირთული მიწის ნაკვეთის გამყიდველების საგარანტიოდ მასზედ რომ მე მიწის ნაკვეთს ვერ გავასხვისებდი.

ვალდებულებით ნაკისრი ფართები მიწის ნაკვეთის გამყიდველებს გადავეცი ვადაზე ადრე საკუთრების უფლებით (**რეალიზებადი, რამდენიმე ბინა რეალიზებულია, იხ. საჯარო რეესტრის განცხ. N 882023146540; N 882022696908**) რასაც ადასტურებს 2021 წლის 21 დეკემბრის განშლის ოქმი და ცხრილი, აღნიშნულიდან გამომდინარე გაუქმდა #882020735479 6/10/2020 რეგისტრაციით წარმოშობილი ვალდებულება.

წარმოგიდგენთ საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილ 2021 წლის 21 დეკემბრის განშლის ოქმს და ცხრილს.(იხ. განცხ. # TT2023051118 04.07.2023)

შპს „სანო 2015“-ის დირექტორი:

ზაზა სანიკიძე (პ/ნ 61005004405)